Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)


# ე რ ი

№ 14

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 17 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакция газ.

Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ელექტრო-თეატრი ,,რადიუმი"

15, 16-სა და 17 ნოემბერს

I. პატე-ჟურნალი № 243

II. შავი ბურთი

3 მოქმედ. დრამა.

III. დროებითი ქვრივის ღამე

კომედია, მონაწილეობენ რუსის გამოჩენილი კომიკი კ. ა. ვარლამოვი, ‹ გამოჩენილი მაცეკვარი ქალი საიმპერატორო თეატრისა ე. ა. სმირნოვისა.

დრაფი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა ს. მ. პირაკოზოვი და ზ. გ. ოზანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები.

ველვიური, გენუია, იდეალი, ფლორა.



## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

## ,,ე რ ი"

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери". Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. ,,Ери".

გაზ. „ერის" კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშვადღევს 5—7 საათამდი. კვირა-უქმე დღეებში დილის 8—12.


გაუბედურებულნი ცოლშვილი და დედმამა, გულმოკლული ძმები, დები, რძლები და სიძე თავზარდაცემულნი ტეხნიკის

## დავით პეტრეს ძის წულეისკირის

მოულოდნელის სიკვდილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ამ სამწუხარო ამბავს.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ექვს საათზე, დადიანის ქუჩაზე, საკუთარ სახლში.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ ბი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაქრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს გღებულობთ ყოველდღე, ფასები ხელმისაწდომია და უვიჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



ვ..ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები

## ,,დ ე ლ ი - ბ ა ბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## განცხადება.

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ ,,სასოფლო გაზეთზე"

24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი, მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шарашидзе.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. ამანეგი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია სააქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.



**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ექიმმა** ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**კბილის ექიმი** მახარაშვილი გადავიდა სტეფანოვის სახლში, ბალახვანის ქუჩის დასაწყისი.

**დაბა ზესტაფონი**

ექიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ექიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

**მ. გალანჩივაძისამ**

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.


## ,,პოლიტიკური მახინჯები" და ბ-ნი გომართელი.

,,თემში" მოთავსებულმა ივ. გომართელის წერილმა დასელებს თავგზა აუბნია. ეტყობათ ფრიად მწვავე გავლენა მოუხდენია ხსენებულ წერილს მათ ,,წევრებზე" და აღარ იციან რა ქნან? საბრალონი, ახლა უკვე თვალით ხედვენ თუ მათ ,,მრწამს" როგორი სისწრაფით ეკარგება ნიადაგი და იძულებული არიან მობილიზაცია გამოაცხადონ... ფერად-ფერადი ეპიტეტებისა, რომელსაც მათ ლექსიკონში ადგილი აქვს. ერთ დროს ,,კარგი დეპუტატი" და ,,ჭეშმარიტი დემოკრატიის ჭეშმარიტი დამცველი" ბ-ნი ივ. გომართელი, ახლა ,,რენეგატს და" წარმოადგენს, რომელიც ,,აშმორებული წუმპესავით მუდამ იხრწნება და თავის გარშემო სიმყრალის აყენებს"... სხვა, მეტი არაფერი? ეს, მხოლოდ ეს, ბატონებო, გომართლის საპასუხოთ, რომელმაც თფილისსა და ქუთაისში თქვენს დამარცხებაზე გაბედულათა და გადაჭრით წარმოსთქვა თავისი აზრი? გვიკვირს, მადლენები სავსებით არ ერიდებიან ცილისწამებათა და სიცრუით ენის ქავილის დაცხრომას და ნუთუ თავის გასამართლებლათ მეტი ველარაფერი სთქვეს? ჩვეულებას მაინც რათ უღალატეს, თუ სიმართლე ღალატობდა, ხელოვნურათ აკოწიწებული სიცრუით მაინც მიემართნათ გომართლისადმი და უარყოთ ის ბრალდება რომელიც გომართელმა მათ წინააღმდეგ წამოაყენა? სხვა თუ არაფერი რა უჭირდათ ეთქვათ, რომ სოლოლაკელი პლუტოკრატია პროლეტარიზაციის სისტემის მეოხებით მედგარმებრძოლთა ‚რაზმში ჩადგა და ,,გაპროლეტარებულმა ,,ჭეშმარიტი დემოკრატის" ფიზიონომია მიიღოთ-ქო ან და... პროტესტები რათ დაავიწყდათ, განა ყოველგვარი ულოღიკობისა და უნიადაგობის დამამარცხებელი ხუთ წლოვან ბავშთა ხელმოწერილი საპროტესტო უსტარი არაა?

რენეგატის დაძახება პასუხი კი არაა თქვენი უძლურებისა და სიყალბის ნიშანია, ასე ხომ ყოველ ბრალდებულს შეუძლია ბრალმდებლის მტკიცე დებულებანი პურიშკევიჩისებური მჭერმეტყველობით უარყოს და გააქარწყლოს? მაგრამ ვიცით, სადაც მარხია ,,ძაღლის თავი", შევდივართ თქვენს მდგომარეობაში, რადგან როგორც ყოველთვის, ისე ახლაც ჭეშმარიტება სხვა მხრითაა გადახრილი და ,,თავისა თქვენისა უარყოფა", ჩვენც ვგრძნობთ, რომ თქვენთვის ხელსაყრელი და მოსაგები საქმე არაა. ,,ტუპიკში" მომწყვდეულებმა ან კი რა უნდა სთქვათ. ლანძღვა თრევის მეტი იმ ადამიანისადმი, რომლის ნიჭსა და უნარსაც არც თქვენ უარყოფდით დღევანდლამდი და რომლისადმიც, პირიქით, არაჩვეულებრივი კრძალვით იყავით გამსჭვალული? თქვენ ბრძანებთ:—„კაცი, რომელიც თავის რწმენას, თავის იდეალებს ფეხით შესდგება და სჯიჯგნის, ასეთი კაცი, მხოლოდ „იმერეთ-ერის" პოლიტიკურ ნაძირალებს გამოადგებათ იარაღათ თავის მოპირდაპირეთა წინააღმდეგო" და სხ. ბ-ნი გომართელი თავის რწმენასა და იდეალებს ფეხით არ შესდგომია და ჯიჯგნა არ დაუწყია, იდეალებს, რომელთაც იგი ამჟამათ ემსახურება, იგი კიდეც შესძლებს ღირსეულათ ემსახუროს, მხოლოდ უფლება აქვს უარყოფითად მოეპყროს იმ იდეალთ, რომლის სიყალბეშიც იგი თანამედროვე სინამდვილემ დაარწმუნა. თქვენი „დონკიხოტობაც" იმით გამოიხატება, რომ არ შეიძლება კაცმა დაგარწმუნოსთ, თუ ქარის წისქვილებთან ბრძოლა რაოდენ უნაყოფოა და ხელი აგალებიოსთ ასეთ უნიადაგო მოღვაწეობაზე. ბ-ნმა გომართელმა კი შესძლო ჭეშმარიტებისათვის თქვენსავით გვერდი არ აეხვია, თვალი არ მოერიდებია და სინამდვილეს ფხიზელი გონებითა და აზროვნებით შეეგებებოდა. განა თქვენ თვით არ უწყით გულში მაინც (ენით ვერ გამოთქვამთ, რადგან ამას გარემოება მოითხოვს, თქვენი აზრით), რომ კარლო ჩხეიძე, ,,პროლეტართა" და „ჭეშმარიტი დემოკრატიის" წარმომადგენელი არსებითად სოლოლაკელმა ბურჟუებმა გაგზავნეს? განა თვით თქვენ არ უწყით, რომ ხალხმა ნდობა გვეექკორის გაშვებით გამოგიცხადათ? რისი ბრალია ეს თუ არ იმისა, რომ თქვენი იდეოლოგია ვერ აწევს ქართველი ხალხის, ქართველი დემოკრატიის სულის სიღრმემდი, რომ თქვენმა უძლურმა „მშვენიერებამ" ვერ შესძლო „მოიმხროს და მოინადიროს" ქართველი ხალხი, რომელსაც სრულ სხვა იდეა-იდეალები

ასუჟდგმულებს და არა თქვენი მარქსიზმი!.. ბ-ნი გომართელი, ერთი იმათგანია, ვინც ყოველივე ამას ფხიზელი თვალით შეხედა, ღრმათ ჩაუკვირდა და თავის ლტოლვათ არა ცალმხრივათ მოექცა თქვენსავით. იცით, ყოველივე ეს იცით, და განზრახ სდუმხართ, რამეთუ მტყუანისთვის დუმილზე უკეთესი შემოქმედს არაფერი გაუჩენია, სწორეთ ამ დროსაა თქვენთვის დუმილი ოქროთ დაფასებული. სდუმდეთ მარადის, რაკი ხავსიც ხელიდან გამოგცლიათ უფსკრულისკენ მიექანებით. **იმერი.**

## ქართული „პრესა".

საკვირველი ხალხია დასელები. ოხუნჯობენ და ოხუნჯობენ. ყოველ „ვანკა ვსტანკას" ამ დალოცვილთა ბუნაგში შეუფარებია თავი თვისი და გააქვს და გამოაქვს... „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო." ჩვენი ქვეყნის მანასეებიც არა სცხრებიან, პირნათლათ ასრულებენ თავის მოვალეობას და „დროზე და ნაღდათ" აბარებენ „ჭეშმარიტ დემოკრატიას" ყოველი "სორტისა" და „მოდის" კურიოზებს. აი, ახლაც, ვიღაც მაღელენი, რომელიც, ეტყობა, პურიშკევიჩის „ლექსიკონზე" უნდა იყოს აღზრდილი, „ტვინის" ლიტინი „მერცხლის" (იხ. შაბათის ნუმერი) ფურცლებზე დაუცხრია და ღაღადებს, რომ:

„...დახეთ საკვირველებას! მოხდა მეოთხე დუმის არჩევნები და ერთ ბაშათ განიავდა ფედერალისტთა იმედები! ხალხმა არა თუ ზურგი აქცია მესამე დასელებს, პირიქით, დიდის ნდობით აღჭურვა ისინი"...

და ალბათ ამიტომ იყო, რომ გეგეჭკორი გააშავა! ნდობაც ასეთი უნდა! მზგავსი გამარჯვება ნურც აწ მოაკლოს ღმერთმა მაღელენსა და კომპანიას.

***

იმავე ნუმერში რეცენზიაა მოთავსებული 14 ნოემბერს გამართული სალიტერატურო საღამოს შესახებ. რეცენზენტი „ფიქრიანიძე" ფრიად დაუფიქრებია ლექტორი დადიანის მიერ თავისი არგუმენტაციის ნათელსაყოფათ მოყვანილ ბრანდესის ავტორიტეტს და ურჩევს ბ-ნ დადიანს, რომ

„არჩეულ საგანს უფრო უბრალოთ მიუახლოვდეს, თავი გაანებოს ბრანდესა და სხვების ხსენებას"..

მართლაც, რა საჭიროა, რომ ჩვენი ლექტორები ავტორიტეტთა საძებნელათ საზღვარგარეთ მიემგზავრებიან, მადლობა ღმერთს, არც ჩვენ გვაკლია ისეთი ავტორიტეტები, როგორც მაღელენი, დრამატურგ-ბელეტრისტი მალაქიაშვილი, ფიქრიანიძე და სხვებია. ამათზე შორს სად უნდა წავიდეს ბრანდესი და სხვანი?

იგივე ბ. „მუსიო" ფიქრიანიძე თავის ფიქრებს გვიზიარებს იმავე რეცენზიაში არ. ჭუმბაძის შესახებ:

„ჭუმბაძემ წაიკითხა ორი მინიატიურა, პირველი უშინაარსო ლეგენდას წარმოადგენდა სიყვარულის შესახებ, (ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ნაციონალისტური ინტელიგენციისათვის სიყვარულის გარშემო ტრიალი უდიდეს საგანს წარმოადგენს)"-ო... და სხ.

აბა, მართლაც და, რომელი „ჭეშმარიტი დემოკრატი" დაიწყებს წერას სიყვარულზე თუ არ ნაციონალისტი? ვურჩევთ ბ-ნ ჭუმბაძეს, სიყვარულზე წერას თავი დაანებოს და ბ-ნ ფიქრიანიძეს შავი ფიქრები მოაშოროს...

—აქამდი ჩვენ გვეგონა, რომ სიყვარული ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის მწერალთა საგანს შეადგენდა, ახლა კი ბ-ნი ფიქრიანიძის „ღრმა ფილოსოფიით" ეს თემა მხოლოდ ნაციონალისტური ინტელიგენციის საკუთრებათ გამხდარა! განა ამას შემდეგ დადიანმა ბ-ნი ფიქრიანიძე არ უნდა დაიმოწმოს ავტორიტეტათ ბრანდესის მაგიერ?!...

## სახელმწიფო სათათბირო.

### 13 ნოემბრის სხდომა.

**ვოლკონსკი** თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის 31 დეპუტატის განცხადება. განცხადება სახაზინო დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა ავათმყოფობის დროს ქონებრივ უზრუნველყოფას ეხება. განაგრძობენ „ნაკაზის" პროექტის განხილვას. კამათს იწვევს კომისიის პრეზიდიუმის სამსახურის დროის განსაზღვრა. ერთი ნაწილი თხოულობს, რომ პრეზიდიუმი ერთი წლის ვადით იქნას არჩეული.

**ნეკრასოვი** თხოულობს—პრეზიდიუმის არჩევა ყოველი წლით ხდებოდესო. **კრუპენსკი** პრეზიდიუმის ყოველწლივ არჩევის წინააღმდეგია. **მაკლაკოვი** ყოველწლივ არჩევის სასარგებლო აზრს გამოსთქვამს.

**სკორობადსკი** მაკლაკოვისა და ნეკრასოვის წინააღმდეგ მიდის. **ნეკრასოვის** წინადადებას 131 ხმის უმრავლესობით ღებულობენ.

**შინგარევის** აზრით სათათბიროს უმცირესობის უფლება არ უნდა დაუხუროს და არ უნდა შეზღუდოს მას კომისიამ. ორატორმა განაცხადა ამ მხრით მესამე სათათბირო ბოროტ-მოქმედებდაო (ტაშის ცემა მარცხნივ) **თავჯდომარე** შინგარევს წესიერებისაკენ მოუწოდებს. პროექტის მუხლს, 157 ხმით წინააღმდეგ 87 ხმისა, კომისიის რედაქციით ღებულობენ. იხილვენ პროექტის შემდეგ მუხლს. ეს მუხლი ეხება კომისიის სხდომაზე არა კომისიის წევრ დეპუტატთა დასწრების აკრძალვას. **ჩხეიძე ინუშკევიჩი, გაულდოვი** და **ეფრემოვი** ამ მუხლის წინააღმდეგ მიდიან. **პროგრესისტებს** შესწორება შეაქვთ. კომისიის სხდომებზე დეპუტატებს დასწრების უფლებას ნუ ავუკრძალავთ, ვინაიდან ასეთი წესი საზღვარგარეთ არსად არ არისო. **ნეკრასოვი** პროგრესისტთა შესწორებას მხარს უჭერს; ორატორი აღნიშნავს, რომ პროექტის ეს მუხლი მინისტრებს ნებას აძლევს კომისიაში ის მოიწვიონ, ვინც მათ უნდათ, ხოლო სათათბიროს დეპუტატებს კი უკრძალავს სხდომებზე დასწრებასო. **მაკლაკოვი** იცავს კომისიის რედაქციას. მსჯელობენ კომისიის საქმის წარმოების მოწყობის შესახებ. ამ საგანზე მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობენ კერენსკი, შინგარევი და კრუპენსკი. მომხსენებელი მაკლაკოვი კომისიის დასკვნას მხარს უჭერს. თავისი აზრის დასამტკიცებლათ მოყავს პირველი სათათბიროს მაგალითები. ამ მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ. შემდეგ მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობენ **კერენსკი** და ეფრემოვი. შემდეგი სხდომა საღამოს.

### 15 ნოემბრის საღამოს სხდომა.

**ვოლკონსკი** თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის საზღვაო უწყების მინისტრის მიმართ განცხადებაა. განცხადება ობუხოვის ქარხანაში მუშათა შრომის პირობას ეხება. ამ შრომის პირობებმა გამოიწვია ეკონომიური გაფიცვაო. არის აგრეთვე შეკითხვა შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ პროფესიონალური კავშირების დევნის შესახებ. მორიგ საქმეთა შორის თავჯდომარის არჩევანია. თავჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატებს ბარათებით ასახელებენ. **ჩხეიძე** რიგს გარეშე აცხადებს: მეოთხე სათათბიროს პრეზიდიუმმა არა თუ მესამე სათათბიროს პრეზიდიუმს მიბაძა, არამედ უფრო მეტი მემარცხენობა გამოიჩინა. მოუთმენლობა გამოიჩინა ზომიერმა ოპოზიციამ. იმათ ერთ კონფერენციაზე სამშობლო განსაცდელშიაო გამოაცხადესო.

თავჯდომარეთ **როძიანკოს** 204 პირი ასახელებს. **თავჯდომარე** ეკითხება როძიანკოს—თანახმაა თუ არა, თავჯდომარეობაზე კენჭი იყაროს? როძიანკო თანხმობას აცხადებს და დარბაზიდან გადის. არჩევანს ახდენენ კენჭის ყრით. როზიანკომ 272 თეთრი და 70 შავი ხმა მიიღო. როძიანკო დარბაზში შემოდის. და თავჯდომარის ადგილს დაიჭერს. მისი ტრიბუნაზე ასვლისას ცენტრი და ოპოზიცია ტაშს უკრავს. **როძიანკომ** დეპუტატებს ასეთი სიტყვით მიმართა: „ბ. სათათბიროს დეპუტატნო! შეიძლება, იცით—თუ თქვენი არჩევა როგორ მაღელვებს. ჩემთვის ძნელია ამ წუთში რისამე თქმა. მე კვლავ ვღებულობ პასუხის მგებლობას სათათბიროს მუშაობის ხელმძღვანელობისას. ჩემს მოღვაწეობაში ისეთსავე ერთგულებას გამოვიჩენ რუსეთის უმაღლეს სარდლისადმი, როგორსაც ვიჩენდი წინათ. (ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრში; მარცხნით ხმაურობა). **ზოლოტუხინი** აცხადებს: ნაციონალისტების სამართლიანი მოთხოვნილება პრეზიდიუმში ორი ადგილის დათმობის შესახებ არ დააკმაყოფილეს, ამიტომ ჩვენ ჩვენს კანდიდატს თავჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე არ დავასახელებთო. თავჯდომარის უფროს თანაშემწეთ კონოვალოვსა და ვოლკონსკის ასახელებენ: კონოვალოვი ღებულობს 174 თეთრს და 149 შავ ხმას. კონოვალოვი ადის თავჯდომარის ტრიბუნაზე. მას ტაშის ცემით ეგებებიან. თავჯდომარის მეორე ამხანაგის არჩევა შემდეგისთვის გადასდვეს. შემდეგი სხდომა სამშაბათს.

## დღიური.

მეფე ფერდინანდმა ავსტრიის მხრით დახმარება უზრუნველყო და ვენიდან ბულგარეთს მიდის.

— იტალიაში სამი სოციალისტი სენატორებათ აირჩიეს.

— რუსეთი დასთანხმდა, რომ ალბანეთის მთავრათ პრინცი-ვიდა აირჩიონ.

— პეტერბურგში იანვარში ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელთა კრებას მოიწვევენ.

სათათბიროს თავჯდომარეთ როძიანკო აირჩიეს, მის უფროს თანაშემწეთ კონოვალოვი.

— ხარკოვის გუბერნატორი შეპირდა დახურული მედიკური საზოგადოების გამგეობას საზოგადოებას ისევ გავხსნიო.

— კიევიდან რამდენიმე ას ებრაელს ასახლებენ.

## ახალი ამბავი.

15 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ივანე დავიდოვისა, ალექსანდრე თვალეიშვილისა და ზაქარია ვარდენაშვილის საქმე, რომელთაც 1911 წლის 28 დეკემბერს სახლის დაწვა და ამ მიზნით დამზღვევი საზოგადოებიდან ფულის გამოტანის განზრახვა ბრალდებოდათ. სასამართლომ სამივე დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა ღირსების ჩამორთმევით დავიდოვსა და ვარდენაშვილს ექვს-ექვსი წლით და თვალეიშვილს ხუთი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, მანიფესტის ძალით დრო შეამცირეს და ამგვარათ დავიდოვი და ვარდენაშვილი ოთხ-ოთხი წლით და თვალეიშვილი სამი წლითა და ოთხი თვით გაიგზავნება. ბრალდებულთ სასამართლომ თავდებ ქვეშ გათავისუფლების ნება არ მისცა და განაჩენის გამოცხადებისთანავე ყველა სატუსაღოში გაგზავნა.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატის სესია საქმეთა გარჩევას განაგრძობს ცხრამეტ ნოებრამდი.

✦ თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლათ დამტკიცებული თ. დ. ო. ნიჟარაძე გუშინ თფილისს გაემგზავრა. კვირას ის წარუდგება კავკასიის მეფის მოადგილეს. ორშაბათს უკანვე დაბრუნდება და შეუდგება თავისი მოვალეობის ასრულებას.

✦ დღეს, 17 ნოემბერს, თეატრ „რადიუმში", დღის 12 საათზე გაიმართება ლექციების კითხვა. პირველათ წაიკითხავს ისტორიულ თემაზე ბ. ალ. გარსევანიშვილი:—„რუსეთის უფლებების გავრცელება ამიერ და იმიერ კავკასიაში". შემდეგ ექიმი გ. ბადრიძე ისაუბრებს ფრიად საინტერესო საგანზე:—„მემკვიდრეობა და აღზდა; მათი გავლენა ადამიანზე".

✦ ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თეატრში გიორგი მეფარიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ნების უთავისუფლობა".

✦ სპირიდონ ნადირაძეს, რომელსაც გადაწყვეტილი ქონდა 200 მან. დაჯარიმება ან 2 თვით ციხეში ჯდომა, ჯარიმა შეეცვალა 50 მან., ან 2 კვირით ციხეში ჯდომით.

✦ ლეჩხუმის მაზრის აქიმი დევიძე ქუთაისის მაზრის აქიმათ დაინიშნა.

✦ ოლქის სასამართლომ გაარჩია შემდეგი საქმეები: ვლადიმერ კვინიკაძისა, რომელსაც ბრალდებოდა თამასუქში ოცი ციფრის ას ოცათ გადასწორება. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა ღირსების ჩამორთმევა და რვა თვის გამასწორებელი რაზმი.

✦ გაირჩა მიხეილ აბაშიძის საქმე, ბრალდებოდა სამ იანვარს 1910 წ. რევოლვერის სროლა ურიაშკოვისთვის. სასასამართლომ უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა.

**თფილისი.**

✦ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი თფილისს ჩამოვიდა გუშინ დილის 9 საათზე.

## ვინაა პატრონი?

ყველა მოხელეს განსაზღვრული დრო აქვს დანიშნული ჯამაგირის მისაღებათ, მხოლოდ შორაპნის მაზრის სამრევლო შკოლათა მასწავლებლების ჯამაგირების მიღებას მუდამ შემთხვევითი ხასიათი აქვს. აქაური მასწავლებლები სხვა მოხელეთა წაბაძვით ჩოველ ოც რიცხვს მივლენ ხოლმე დაბა ზესტაფონს ფულის მისაღებათ საბჭოს განყოფილების თავჯდომარესთან, რომელიც ხაზინადრის მოვალეობასაც ასრულებს, მაგრამ ფულის მაგიერ დახვდებათ ხოლმე მათ რაიმე მიზეზი და ხელცარიელნი ბრუნდებიან უკან. ხშირათ ერთი თვის ჯამაგირის მისაცემათ მასწავლებელს რამდენიმეჯერ უხდება ასეთი გასეირნება და ისეც მცირე ჯამაგირი ამ მისვლა-მოსვლაში ეხარჯება. ბევრია თუ ცოტა, დღეს მასწავლებელი მაინც ამ ჯამაგირის ამარა არის, ამ წესით ჯამაგი-

## ქვრივი დედოფალი.

ყრმაო ჭაბუკო, თმებ ჩამოშლილო,
რათ კრთი ჩემს ახლოს, რისა გრცხვენია?
ახლოს მოიწი, მსურს გაგიმხილო
გულს შენი ტრფობა თუ ვით მშთენია.
ტრფობა უსაზღვრო, ტრფობა მალული,
ჯერეთ არვისთვის გამჟღავნებული,
გეტყვი: ვით გეტრფის დედოფლის გული,
შენდამი უშრეტ ცეცხლით გზნებული.
შენ კი, არ ვიცი, რათ გამირბოდი?..
თუნდ ახლაც... მითხარ, რაზე ცახცახებ,
როცა კულულზე თითებს შეგახებ?
გესმის, ბიჭუნავ: ბინდისას მოდი
იქ, სადაც ნუშის ხე დგას სათუთი,
სად ვაზი ვაზსა ყელზე ეხვევა...
არ დაგაყონდეს, თორემ თვით წუთი
მე საუკუნოთ გადმექცევა.
ტრფობის შარბათი ხომ გსურს ვიგემოთ?
არ დაგავიწყდეს—ნუშის ხის ძირას,
სასახლის ბაღის სულ განაპირას,
ყვავილთ წალკოტის ცოტათი ზემოთ!..
შენ არ მოგაწყენ ყვავილთა კრეფით,
წამსვე ბაღიდან ჩვენ ფეხ აკრეფით
ჩემს აბანოთა ბჭეებში შევალთ.
არ მოგაკარებ არც ერთ ჩემ მხევალთ.
მე თვითვე გაგხდი ჩემივე ხელით,
ტანს დაგინამავ ნელსაცხებელით,
შენ მხოლოდ ჩემი ოქროს სარტყელი
უნდა შემიხსნა და შემიბნიო.
ხომ გინდა, ჩემო, კეთილ სურნელი,
შენს სიახლოვეს დავაკმევინო?
სარტყლისა ნაცვლათ, სარტყლის მაგივრათ,
მკლავები უნდა შემომაწვდინო,
და მარმარილოს ტახტზე ნებივრათ,
გადამასვენო, გადამაწვინო.
...და რა ჩემს ძუძუს მკერდს მიაკარებ,
მაშინ იშვები, მაშინ იხარებ...
რა კი ჩემ თმათა დაგფარავს ტევრი,
ვნებათ დადნება ეგ ტანი მჭევრი
ისე უსიტყვოთ, შეუმჩნეველათ,
შემოგეხვევა ნაწნავი გველათ...
ბაგენი ვნებით გაგიღიმებენ,
ძუძუნი სუნთქვას დაგიმძიმებენ..
დაეწაფები ჩემს ტანს ვნებული,
ვით მეფე ლევან განსვენებული...
თმას ისე დაბწნი, ვით ის მიბწნიდა,
ისე მაკოცებ, ვით ის მკოცნიდა...
ყელს მოგეჭდობი ზღვის ნიმფის დარათ
ასე ამ რიგათ, ასე ამგვარათ...
შემდეგ კი მკლავზე გადამისვენებ,
რა მოვიღლები, რა მოვისვენებ.
მაშინ შენც უნდა დახუჭო თვალი,
და ზღაპარს გეტყვის ჩემი მხევალი.
მაგრამ, იცოდე, მას არ შეხედო,
თორემ მე ეჭვით რა ავინთები,
წამს მზათ იქნება რკინის შანთები,
ჩემს სიახლოვეს ეს არ გაბედო!..
ყრმაო, ჭაბუკო, ყრმაო ჭაბუკო!..
შენ მეუბნები,—თავი დაღუნე,
რათ მოიღუშე, ჩანს დამიწუნე?
რისთვის არ გინდა სწორეთ შემხედო?
ღაწვზე სიწითლე რისთვის მოგედო?
რათა გსურს გული რო დამიმწო,
რისთვის არა გსურს კოცნა უბიწო,
სვიან დედოფალს მკერდს დამაფარო?
რისთვის არა გსურს შვება მომგვარო,
რისთვის არა გსურს, ჩემო ჯაფარო?
ყრმათ ჭაბუკო, მომაპყრე თვალი,
შენ მეფე იყავ მე—დედოფალი.
შეახე ხელი ჩემ ძუძუს კუკურს,
ჯერეთ ნორჩია და გაუშლელი...
მოკიდე ხელი, შეახე ხელი,
მე ასე მინდა, მე ეს ასე მსურს...
შეახე ხელი ჩემ ძუძუს კუკურს...
ყრმაო ჭაბუკო, მომაპყრე თვალი,
შენ მეფე იყავ, მე დედოფალი.
მაგ შემოხედვამ გული წარიღო.
მაგ ღრმა თვალებით მომაჯადოვე,
მე თუ გინდ შენი მხევალი ვიყო,
შენ სიახლოეს ოღონდ დამტოვე.
ოღონდ შენს ახლოს ყოფნა მაღირსე,
და შხამი მასვი შენის ფიალით,
გსურს, მეუფეო, გამშოლტე ისე,
რომ ტანს მდიოდეს სისხლი თქრიალით.
და დაგიკოცნი მაშინ მაგ ხელებს,
და დაგიკოცნი ფეხთ ნატერფალთა,
ოჰ, მაგ დუმილი როგორ მახელებს,
ოჰ, მაგ დუმილი მისოვლებს თვალთა.
ყრმაო ჭაბუკო მომაპყრე თვალი,
შენ იყავ მეფე,—მე კი მხევალი.

**კ. აბაშისპირელი.**

**მოსკოვი.**

## ბეჭედი.

**კნუტ ჰამსუნის.**

ერთ საზოგადოებაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ქალიშვილმა.

მას ვერ ჩაემარხა გულის სიღრმეში თავისი გრძნობა, სუყველაფერი მოწმობდა, რომ იგი შეყვარებული იყო.

მისი ლურჯი, ვარსკვლავივით მოციმციმე თვალები სასიამოვნოთ გამოიყურებოდენ... ნეტავ, ვინ უყვარს მას?!

აი, ის, ლომის მზგავსი ტანის კაცი, მუნდირში გამოწყობილი, რომელიც ფანჯარასთან იდგა. ღმერთო! როგორ ეალერსებოდა იგი ამ ვაჟს თავისი ცეცხლებრ ბრწყინვალე თვალებით და რა მოუსვენრათ იჯდა სკამზე.

როდესაც ჩვენ, მე და ის ქალიშვილი, შინ მივდიოდით, მე, როგორც მისმა ახლობელმა ნაცნობმა, ვუთხარი:

— რა მშვენიერი მოწმენდილი ამინდია! ხო მხიარულათ იყავი დღეს?

— და რო გამეცხადებია თანხმობა მისი სურვილისათვის, წამოვიძრე თითიდან ნიშნობის ბეჭედი და განვაგრძე:

— შენი ბეჭედი ვიწრო მაქვს, მიჭერს, არ შეგიძლია გააწევინო?

გამომიწია ხელი და ჩუმათ მითხრა:

— მომეცი, მივსცემ გასაფართოებლათ!..

მეც მივეცი ბეჭედი.

***

ერთ თვეს შემდეგ მე კვლავ შევხვდი მას.

მინდოდა მეკითხა ბეჭედის შესახებ, მაგრამ გავჩუმდი, არაფერი ვუთხარი.

— რა საჭიროა?—გავიფიქრე მე:—კიდევ მოვიცდი.

— უი, მართლა... ბეჭედი:—მითხრა მან:—სადღაც შევინახე, შეიძლება, დამეკარგა.

და უცდიდა ჩემს პასუხს.

— მიწყრები, არა?—შემეკითხა ქალი ნაღვლიანათ.

— არა! ვუპასუხე მე.

ღმერთო ჩემო! რა დამშვიდებული წამოვიდა, როდესაც დარწმუნდა, რომ არ ვუწყრებოდი...

***

განვლო ერთმა წელიწადმა.

ერთხელ საღამოს, შებინდებისას მივდიოდი ნაცნობ, კარგათ ნაცნობ შარაზე.

უცბათ მას მოვკარი თვალი. ჩქარი ნაბიჯით ჩემკენ მოექანებოდა. მისი ლურჯი თვალები უფრო მეტის სიძლიერით ბრწყინავდენ. მაგრამ მისი უშნოთ გაფართოვებული სახე და ჩაყვითლებული ტუჩები მწარე შთაბეჭდილებას ახდენდა,

— ჰა! ბეჭედი,—წამოიყვირა მან:—ჰა, შენი ნიშნობის ბეჭედი, ვნახე და გავაწევინე, მიჯნურო. მგონია, ახლა არ მოგიჭერს.

მე შევხედე ამ მიტოვებულ ქალს, მის ფართო სახესა და გაფითრებულ ტუჩებს. დავაკვირდი აგრეთვე ბეჭედს.

— ახ! ვუთხარი მე და მძიმეთ ჩავკიდე თავი:—ბეჭედი ახლა ძლიერ სრულია. **Scurra.**

რების მიღებისთვის მას რამდენიმე დღე უცდება, რაც ემჩნევა სწავლის მიმდინარეობას. წელს სხვა უხერხულობას ისიც დაემატა, რომ ყველა მასწავლებელს ოკტომბრის თვის ჯამაგირიდან გამოგვირიცხეს ორ მანეთნახევარი ჟურნალისა, შემოსავალ-გასავლისა და კვიტანციის წიგნების ფასათ. ბევრმა განაცხადა,—კლასის ჟურნალი კერძოთ გვაქვს ნაყიდიო, უფრო იაფათაც გვიჯდებაო, შემოსავალ-გასავლისა და კვიტანციის წიგნებიც გვაქვს, მაგრამ არ გვჭირდება, რადგან შკოლას არავითარი შემოსავალ-გასავალი არ აქვსო, მაგრამ ვინ გვისმინა, ვინაა პატრონი?

**მასწავლებელი შორაპნის მაზრიდან.**

## ყველაფერზე არაფერი.

(წაკითხული იყო 14 ნოემბერს სალიტერატურო საღამოზე)

ასეა დღესდღეობით, დღესდღეობით კი არა—კაი ხანია—ასეა ჩვენი საქმე. სურვილი ძალიანია ყველაფერზე ილაპარაკო, სწერო, მარა შენი იარაღი თუ ისე არ მომართე და მისთანა ჰანგები არ გამოათქმევინე, რო ყველას აამოს—შინ ვერ მიიტან ამბავს საამოს.

ერთობ ცუდ მდგომარეობაშია კალმის კაცი ჩვენში.

გაიჩრი სამ თითში კალმის ტარს, გაიშლი წინ თეთრ თაბახს, თეთრი აზრები გინდა შავი წამლით გამოსახო, რო ამცნო ქვეყანას რაც შავი დღე გადგია, რა გვტკივა ხალხი რას ჩივა, მიუჯდები საწერ სუფრას სტუცავ კალამს მელანში და ატრიალებ მერე ხელში. თავში ზღვა აზრები გიტრიალებს, მარა, გაიხედავ, წინ, უკან, იქით, აქით ყველა თვალებს გაიბრიალებს შენიანი და უშენოც. თუ დასწერე რამე—გაგითენდება შავი ღამე!

ჰო და სწერე ახლა ამისთანა პირობებში... არც წვადი დასწვა, არც შამფური!—ამაზე უფრო უშნო გამოთქმა არაა ჩვენს ენაში. ცხოვრებაში ეს შეუძლებელია. მისთანა გარემოება შეგხვდება და მისთანა ცეცხლი უნდა გააჩაღო, რო წვადი და შამფური კი არა, იქნება, შენი სახლ-კარიც გადაიბუგოს და შენც შეიბრაწო იმ ცეცხლზე...

ოჰ და, რა გეცვრიან-წვადება, გეთორნეულება ან გეკახურება ამისთანა პირობებში..

ა, ბატონო! ხო ხედავთ:—ჯერ არც კი დამიწყია და სად, რას არ მოვედევი! სად ჩვენი ტკივილი, ჩივილი, სად წვადი და კახური და ლხინი მამა-პაპური?!

ესაა დღეს ჩვენი **თხუზულება**... მეტი რო სთქვა, მისთანას გაგადღუზურებენ, რო... შენ შენი ღმერთი, ესეც არვინ გამიგონოს, თვარა გამაბუზურებენ აქიდან და მერე შენ გადაურჩი ამ საღამოს თაოსანს... დალოცვილებო!—საღამოს ვმართავ და წაგვიკითხე რამეო. ასე გონიათ—იოლი იყოს. ყველაფერზე არაფერი ხო ყველაფერი არაფერი გამოვიდა და ახლა თქვენ თავი ერთმანეთს ახალეთ და მიხვდით—რა უნდა მეთქვა. რას მიხვდებით, როცა არაფერი მითქვამს... და არაფრისაგან არ იქნების არაფერიცა-არარაისგან არ იქნების არარაიცა.

ასეა ჩემი საქმე და თქვენიცა...

და...

მოდი, თავი დავანებოთ
ამ ჩიქორთულ, უშნო პროზას...
ისევ შაირს მოგახსენებთ,
და მივიღებ სულ სხვა პოზას.
ხოლო ვისმე თუ გულს მოხვდეს,
თვალებს ნუ დამიბრიალებს...
ლექსის კითხვა შემეშლება,
გულს რო გადამიტრიალებს.
სანამ სულ არ გავათავებ,
სჯობს დახუჭოს ყველამ თვალი,
ან გაბძანდეს დერეფანში
და მიიღოს ცივი წყალი!..

— —

რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
დაუყენა თვალის ჩინი?..
ჩინი, ჩინი!
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
აღარა აქვს კვალი მიწა?
მიცა, მიცა!..
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
აღარ უყვარს ღვიძლი თვისი?..
სხვისი, სხვისი!..
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
შეუცვალა გული, სული?..
ფული, ფული!..
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
არ ემარჯვება ქართული?..
რჯული, რჯული!..
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
ვერ შეურთავს, ვერა ცოლი?..
ტოლი, ტოლი!..
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
ეძახიან:—შე უტვინო!
ღვინო, ღვინო!..
რაა ჩვენში, რო ბევრს, სულ ბევრს,
წვერ-ულვაში გაუხუნდა?...
გუნდა, გუნდა?..
რაა ჩვენში—რომ ბევრი, ბევრი...
ჰორს გაიგებს, მერე ყვირის!..
ვირის, ვირის!..
რაა ჩვენში—დასელების
მოძღვრება რომ არ დამყარდა?..
ყარდა, ყარდა!..
რაა, ჩვენში რო არ მოსწონთ
საქციელი მოწაფეთა?..
ფეთა, ფეთა!..
რაა ჩვენში,—ბევრი, ბევრი
სხვას ემონა, ეთაყვანა?...
ნანა, ნანა!..
რაა ჩვენში,—შევიძინეთ,
გავიარეთ რამ მანძილი?
ძილი, ძილი!..
რაა ჩვენში, ბევრი რაცლამ
ჩააჩუმა, დაადუმა?..
დუმა, დუმა!..
რაა ჩვენში, რომ არა გვაქვს
წყალსადენი, არც ტრამვაი?..
ვაი, ვაი!..
რაა ჩვენში ბევრი, ბევრი
გაორგულდა გადაგვარდა?..
ფარდა, ფარდა!..

**დ. მ.**

## დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ.).

### რ უ ს ე თ ი.

**ნოვოჩერკასკი.** ცესარევიჩის სადგურზე ხუთი ბოშა დააპატიმრეს. მათ ბრალათ სდებენ ცხენის ქურდობას. უნახეს 14 ცხენი. ხალხმა ქურდები თვით გაასამართლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრის დენისევას თავჯდომარეობით და ფინლანდიელთა დელეგატების მონაწილეობით ფინლანდიის ვაჭართა საექსპერტო კომისიის სხდომა მოხდა. ფინლანდიელ დელეგატთა შუამდგომლობას საზღვარგარეთ გასაგზავნი დეპეშის შესახებ სხდომამ მხარი დაუჭირა.

**კიევი.** მოფრინდა მეორე საავაციო როტის ავიატორი ჩეხუტოვი. ჩეხუტოვი სევასტოპოლიდან გადმოფრინდა. ორშაბათს ჩეხუტოვი უკანვე სევასტოპოლს გაფრინდება.

**ურალსკი.** შავი ჭირით ავათ გახდა 24 კაცი. 12 გადაიცვალა. ავათ არის 31 კაცი.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**ვენა.** პრესა ბალკანეთის საიდუმლო ხელშეკრულობის შესახებ წერას განაგრძობს. ეს ხელშეკრულობა ევროპის მშვიდობიანობისთვის საფრთხეს წარმოადგენსო.

**ჰელსინგფორსი.** ნავსადგურში მდგომს გემს ცეცხლი გაუჩნდა და ხუთი მუში დაიწვა.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის საგარეო საქმეთა კომისიამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა უკამათოდ მიიღო.

**ლონდონი.** სამხრეთ აფრიკიდან ცნობაა, რომ იქ ინდუსებს ესვრიან. გაფიცვის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებამ ინდიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. დიდ ქალაქებში პროტესტის გამოსაცხადებლათ იმართება მიტინგები. საზოგადოებრივი აზრი ძლიერ აღელვებულია. ლონდონში გარდინის სიტყვამ, ინდოელ ვაჭართა კავშირის წარმომადგენლების მიმართ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ბელგრადი.** რუსეთის მისიის პირველ მდივნათ სტამბოლის მისიის მდივანი სიმიჩა დანიშნეს. მეორე მდივნათ კი გრუშევიჩი.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის საგარეო საქმეთა კომისიაში ბერხტჰოლდმა თავის მოწინააღმდეგეებს უპასუხა: ბრალდება ვითომ ავსტრიის დიპლომატია მოუმზადებელი იყვეს, უსაფუძვლოა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საფრთხეს არავინ ხედავდა, ავსტრიამ ამ საფრთხის წინააღმდეგ ზომები მიიღო. მან აგვისტოში გააფრთხილა დიდი სახელმწიფოები, რომ მიეღოთ რაიმე ღონისძიება და ოსმალეთს სომხეთში რეფორმები განეხორციელებია. რეფორმების განხორციელება ბალკანეთის სახელმწიფოთა გამოსვლას ხელს შეუშლიდა. უდროო დროს ოსმალეთში ჯარის მობილიზაციის გამოცხადებამ უთანხმოება უფრო გაამწვავა. ავსტრია იცავდა მცირერიცხოვანი ერების ინტერესებს. ტყუილია, ვითომ ავსტრიის ფულით ალბანეთში გზები გაკეთებულიყოს.

უკრაინელთა კლუბმა განიხილა მინისტრ-პრეზიდენტის წინადადება ახალი ალიციის სეიმის მოწვევის და იქ საარჩევნო უფლებაზე მსჯელობის შესახებ. კლუბმა დაადგინა: წინააღმდეგია არ გაუწიოს სეიმის მიწვევაში იმ პირობით, თუ სეიმი მხოლოდ საარჩევნო უფლების შესახებ იმსჯელებს. შტიურკმა მოლაპარაკება გამართა უკრაინელებთან, პოლონელებთან, ქრისტიან სოციალისტებთან და გერმანელ ნაციონალისტებთან. გამოსთქვა მათთან სურვილი, რომ გალიციის სეიმი 1914 წლის 22 იანვარს იქნას მოწვეული.

**ლონდონი.** ნაციონალისტ-ლიბერალთა ასოციაციის მიტინგზე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, ასკვიტს დიდი ოვაციებით შეხვდნენ. ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა—მთავრობა დიდი ხალისით მუშაობს დაზღვევის კანონის შესახებო. ამჟამათ კი მთავრობა აგრარული რეფორმის პროექტს იმუშავებსო. ორატორმა ილაპარაკა იმის შესახებაც, რომ წელს სახელმწიფო ვალი 100 მილიონი გირვანქა სტერლინგით შეამცირეს. ჯარის საქმეზე ხარჯი იგივე დარჩა, ხოლო ფლოტის საქმეზე გავადიდეთო.—შემდეგ ასკვიტი შეეხო ოპოზიციის მოთხოვნილებას საყოველთაო არჩევნების დანიშვნის შესახებ. ოპოზიციის აზრით, ჰომრულის მიღება სამოქალაქო ომს გამოიწვევს. ასკვიტი არ სცნობს საჭიროთ ოპოზიციის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ის ამბობს: მთავრობა არ უნდა შეუშინდეს იმის მუქარას, რომ სამოქალაქო ომი მოხდებაო.

## ქართველ ქალთა მიმართ.

ჩვენი ერის ცხოვრებაში ძველ ქართველ მანდილოსანს თვალსაჩინო სამოქმედო მოვალეობა ქონდა ნაკისრი. საბედნიეროთ ჩვენდა წარსულში ისეთი ძლავრათ მანათობელი დედანი გვყავდნენ, რომ ისტორიამ სახელი მათი ერთს საუკეთესო განძათ შეიტანა თვისი მატიანეს სალაროში. აი, ასეთ დედასა და ერის ღირსეულ პატრონთ ეკუთნის მეფე ქალი თამარ, რომლის არსებობის დროც ოქროს ხანათ არის აღსარებული; რომლის მეოხებითაც შექმნილმა დიდებულმა დრომ ამოსტყორცნა გენია რუსთველისა, რომლის ძლიერებამაც შეუდარებელი გმირული სიმხნეეით დაუყენა სამშობლოს დარაჯათ მხარგძელნი და რომლის დიდი ღვაწლშემოსილი მოქმედებაც შემდეგი სტრიქონებითაც საკმაოთ ლაღადებს:

,,უბის ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავდე ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრ ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
და აწე ამათმა მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე''.

სწორეთ რომ ამდენი საქმის მომქმედს დიდებულ პიროვნებას ცხრა ადლი ტილოს მეტი არაფერი ხვდომია მისი ღვთაებრივი ხელით ნაფუფუნევ-აყვავებული ქვეყნისაგან. ასე რომ, ჩვენდა სავალალოთ, ისიც არ ვიცით დინამდვილებით, თუ რომელი ადგილია ისეთი ბედნიერჩეული, რომ ღირს ყოფილია თამარის განსასვენებელ აკვან-სავანეთ. მაგრამ რადგან სრულიად საქართველოს ნიადაგია და მასზე გლოვიარე გულით მკვნესარნიკი—ქართველი დედანი. ამისთვის უადგილო არ იქნება—დღევანდელმა ქართველმა ქალებმა ითავონ და იშრომონ, რათა შეკრიბონ მიზნის შესაფერი თანხა და აუგონ იმ შვიდას წლის ხორციელათ მკვდარს, ხოლო თვისი მაღალი მოქმედებითა და სულით უკვდავი ღირსეული ძეგლი მეფე-ქალს, რომელმაც სავსებით შესძლო განხორციელება უკვდავი რუსთველის სიტყვისა:—„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიო''-ო.

**ლეჩხუმელი ბანოვანი.**

## ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება.

15 გიორგობისთვეს შავიქვის მრეწველთა საბჭოს შენობაში შესდგა კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თაოსნობით წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა. კრებას დაესწრო 40 სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენელი; ასე მცირე წარმომადგენელთა გამოცხადება იმით ახსნეს, რომ ხალხს ნდობა დაკარგული აქვს, არას გამოელიან და ბევრი საკუთარი ხარჯით წამოსულა კრებაზე დასასწრებლათო. განყოფილების თავჯდომარემ თ. პეტრე წულუკიძემ გახსნა კრება პირველის ნახევარზე და აუწყა დამსწრე საზოგადოებას, რომ ქუთაისის გუბერნია წელს მოუსავლობის მხრით ძალზე დაზარალდა იმ 41 საზოგადოების მიხედვით, რომელთაც ცნობა წარმოგვიდგინეს, 37 საზოგადოება ძალზე დაზარალებულა და საჭიროებს დახმარებას არა ნაკლებ 2 მილიონი ფუთი სიმიდისა; იმ ადგილებში, სადაც წინა წლებში საშვალოთ 25—35 ფუთი სიმიდი მოდიოდა წელს 2—10 ფუთამდი მოსულა. განყოფილების წინა კრებას დასწრებია დეპუტატი ბ. ვ. გელოვანი, რომელსაც უთქვამს კრებისთვის, რომ მას უნახავს მინისტრთა თავჯდომარე კოკოვცოვი, აუხსნია მისთვის ჩვენი ქვეყნის უკიდურესი მდგომარეობა, წრევანდელი მოუსავლობით და უთხოვია დახმარების აღმოჩენა; კოკოვცოვს დახმარების სურვილი აღუთქვამს დეპუტატისთვის. განყოფილებამ მისთვის მოგიწვიათ თქვენ წვრილი კრედიტის წარმომადგენელნი, რომ თქვენ, როგორც უფრო ახლოს მდგომნი თქვენს საზოგადოებასთან უფრო უტყუარი და ნამდვილი ცნობების მოცემას შესძლებთ, რითაც საშვალება მოგვეცემა ვამცნოთ მთავრობას, თუ როგორ დაზარალებულია ქუთაისის გუბერნია, რა დახმარება ესაჭიროება და რა სახით გამოვსახოთ ეს დახმარება. კრებაზე სხვადასხვა აზრი გამოითქვა შიმშილობის წინააღმდეგ ზომების მისაღებათ. ბ. თათეოსიანმა, სასურველათ იცნო, რომ მთავრობამ გასცეს გძელვადიანი სესხი სარწყავი არხების გასაყვანათ, რითაც გლეხობა წელსაც იხსნის თავს მოსალოდნელ შიმშილობისგან მით, რომ იშოვიან სამუშავერს და სხვ. მან მიუთითა ქვიტირისა, ფარცხანაყანევისა და მაღლაკის საზოგადოებათა შუა გასაყვან არხზე, რომლისთვისაც საჭიროა 300 ათასი მანეთი და მოირწყება ამ საზოგადოებების მიწა სივრცით ათი ათას დესეტინამდი, მაგრამ ხალხი ამას ვერ ახორციელებს ფულის უქონლობის გამო და სთხოვა კრებას, იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ მთავრობამ ამ საქმისთვის მისცეს სესხი. **ს. თავართქილაძემ**, გურიის წარმომადგენელმა დასძინა: გარდა არხების გაყვანისა საჭიროა ჭაობების დაშრობა და გზების გაყვანა. შორაპნის წარმომადგენელმა განაცხადა: მე გამომგზავნა ჩემმა საზოგადოებამ და დამავალა, რათა მათ დაუბრუნოს მთავრობამ „პროდოვოლსტვენი კაპიტალი“, რომელიც მათ გადაახდევიეს იმ პირობით, რომ შიმშილობის დროს უკანვე მიეცათ და ამაზე მეტი შიმშილობა მათ არ ახსოვთ. მოკლევადიანი სესხი, რომელიც აქვს გაცემული წვრილი კრედიტის ამხანაგობებს და ვადაზე თუ ვერ გადიხადეს, გამგეობა ადმინისტრაციას იშველიებს გადასახდევინებლათ; გამგეობამ შეაჩეროს ვექსილი, ერთდროულათ სარგებლის წარდგენით გამოუცვალოს მათ და ყოველივე სახელმწიფო გადასახადი მოიკრიბოს სხვა მოსავლიან წელს. ფარცხანაყანევის საზოგადოების წარმომადგენელმა ბ. თევდორაძემ განაცხადა: წელს ზოგ ადგილას სიმიდს ტარო სრულიად არ გაუკეთებია და ისე აუჭრია გლეხობას ნათესობა; საქონელი ძალზე დამჭლეული ყოლიათ. დღესაც ვერ კვებენ საქონელს ჩალის უქონლობის გამო და ითხოვა—საჭიროა დროიანათ მიეცეს გლეხობას დახმარება, თვარა ბოლოს კიდეც რომ დაურიგდეს, გვიან იქნება. **გასილ ქორქაშვილმა** სასურველათ სცნო, რომ დაარსდეს საცადი მიდვრები სხვადასხვა მხარეში, საიდანაც გლეხობა აიღებს მაგალითს და ხელს მოკიდებს კულტურულ მეურნეობას. **სიმონ ქვარიანმა** ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა დამსწრე საზოგადოებას, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მანამდი არ შეიძლება, სანამ ჩვენ არ მოგვცემენ ერობას; ჩვენ მოუმზადებელი ვგონივართ, ადმინისტრაციის აპეკას ქვეშ ვიმყოფებით, ცხოვრებამ ევროპისა და შიდა რუსეთის გუბერნიებში [illegible] დაამტკიცა, რომ ადმინისტრაციის ხელში ხსნა შეუძლებელია. ერობა იზრუნებს, რომ ჩვენს ქვეყანას [illegible] ლები, გაიყვანს საჭირო გზებს [illegible] ყურადღებას [illegible] მეურნეობისათვის იაფ ფასიან [illegible] ნასწავლი მეურნეები, [illegible] გაურბიან, სოფლადვე გამაგრდებიან, გლეხობა მათგან მაგალითს აიღებს, მოკიდებს ხელს მეურნეობას და ეს ჩვენი ყოვლად დაჯილდოებული მხარე აყვავდება და მისი მკვიდრნი აგრე უზომო სიღარიბეში აღარ ვიქნებით ჩაცვენილი, მით უფრო შემოსავალი ექნება და ადმინისტრაციაც მეტს ისარგებლებს, თვარა რა უნდა მოთხოვო დღევანდელს გაძვალტყავებულ გლეხს. ორატორმა სთხოვა დამსწრე საზოგადოებას ერთხმათ გამოეტანათ დადგენილება ჩვენი ქვეყნისთვის ერობის საჭიროებისა. ამაღლების წარმომადგენელმა ლომიძემ კრებას მოახსენა: ბატონებო! სათქმელი მეც ბევრი მაქვს, ჩემი საზოგადოება უხიდობით უკიდურეს მდგომარეობაშია, მაგრამ რა დროს ეგ გატირრის—ხალხი ის, შიმშილით იხოცება. საჭიროა, დროზე მივაშველოთ სიმიდი; შემდეგ კი სხვა კეთილ საქმეებზე ვიმსჯელოთო. ი. გუნცაძემ სასურველათ სცნო უპროცენტოთ ან მცირე ტარიფით მიაწვდინოს ხალხს მთავრობამ სიმიდი. წვრილ კრედიტებს მიეცეს სიმიდის საყიდლათ გძელვადიანი სესხი. ხალხმა აირჩია ცხრა კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიც მოხვდნენ: იაკ. ფანჯავა, ი. გუნცაძე, ს. ქვარიანი, დ. მდივანი, თათეოსიანი, ლომინაძე, თავართქილაძე, დუნდუა და ჯაფარიძე, რომელთაც დაავალა გამოკვლევა დაახლოებით მოუსავლობის რაოდენობისა, რამდენი ესაჭიროება მცხოვრებთ დახმარება და რა სახით აღმოუჩინონ ეს დახმარება. კრებამ სასურველათ სცნო, რომ ყველა ამხანაგობამ გამოიწეროს ,,სასოფლო გაზეთი'' და გააცნონ გლეხობას.

**ვეტი.**

## მანქანის როლი სამეურნეო

### და აგრეთვე სხვა მრეწველობებში.

ნათქვამია და, სიმართლითაც, რომ ადამიანს არ შეუძლია ახალ ნივთიერებათა შექმნა; ამიტომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს მარტო მათი გადამუშავებით. საკმარისია ამ სიტყვებს ჩააკვირდეთ, რომ შემდეგ არე-მარეზე ერთი თვალის გადავლებით იწამოთ მათი სრული ჭეშმარიტება.

მრეწველობას აქვს მიზნათ შესცვალოს ფორმა, ხასიათი ან და თვისება რომელიმე ნედლი მასალისა; იარაღი, მანქანა იძლევა ნებას გაძლიერდეს ადამიანის ძალა და, ცოტათი მაინც, შემცირდეს აუცილებელი მისი შრომა, რომ კაცმა შეასრულოს სამრეწველო გადამუშავება.

ამ დამხმარებელი ხერხიანობის როლი ყველასთვის ცნობილია და მათ სასარგებლო მნიშვნელობაზე არას ვიტყვით, მაგრამ არ იქნება მეტი აღვნიშნოთ ღირებულობა მათი მოქმედებისა. გინდ სამეურნეო და გინდ სხვა მრავალ მრეწველობაში.

უკანასკნელთა გამოსაცნობი პრობლემა უბრალოთ განიმარტება:—გაგვაჩნია ნედლი მასალა, მაშასადამე, საჭიროა შეცვლა მისი ფორმისა და ან ხარისხისა, მათი ერთმანეთის შეერთება, ანუ გამოყოფა.

ჩვენ შეგვიძლია ხის მოჭრა, სხვადასხვა დანიშნულებისთვის გამოკაპიტება და ან ფიცრებათ დახერხვა; საჭიროა კანაფეულ მცენარეთა კანის გაძრობა, თუ კი გვსურს ძაფი ან მკედი დავგრიხოთ.

მადნეულიდან უნდა გამოვყოთ რომელიმე მეტალი, რადგან უკანასკნელი შეერთებულია რამდენიმე „უბრალო“ სხეულთან.

მრავალ საუკუნეთა ცდას შემდეგ, ადამიანმა აღმოაჩინა მანქანა, იარაღი, რითაც შესაძლო გახდა სასურველი გადამუშავება.

ხერხს უთმობენ ადგილს ხელი ან და ნაჯახი; სართავი ან საქსოვი მანქანა ასრულებს ხელის მაგიერობას, რომელსაც ეს საქმე ხშირათ მძიმე ტვირთად აწვა.

დღევანდელი მანქანა რამდენიმე წუთში ჩაგაბარებთ იმავე ნამუშავერს, რასაც ადრე ადამიანი ორ ქვათა შუა ბეგვით რამდენიმე დღეს ვერ ასრულებდა.

საჭიროა წარმოვშვათ მოძრავი ძალა. წყალი და ქარი ასულდგმულებენ მანქანებს, რომელიც გადასცემს და მერე

სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
## ნ. ხრისტოდულიდის
(რომელ... წინათ ... წერეთლის)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საფაქროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შაანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

გარდაქმნის ენერგიას,—ქვანახშირი ხდება უსაჭიროეს ელემენტათ, წყაროთ ძალისა.—ასეთია საზოგადოთ როლი მანქანისა, რომელიც ახდენს დიდი თუ ცოტა ეკონომიით, სითფოს—მოძრაობაში გარდაქმნას.—

მრეწველობაში მანქანა ასრულებს პირდაპირ გადამუშავებას, რომელმაც უნდა შემატოს სარგებლობა და ფასი ნედლ მასალას. მაშასადამე, მართველისთვის, მქსოვლისათვის მანქანა კისრულობს უმთავრეს შრომას; იგივე ართავს, ქსოვს და ან ფქვავს.

რასაკვირველია, მრეწველობაში არსებობს ათასი სხვადასხვა მანქანა, რომლის კონსტრუკციაც სრულიადაც არ არის გაუმჯობესებული, ძველებურათ ასრულებს თავის დანიშნულებას, მაგრამ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მას მაინც არ ეკარგება ფასი, თუ კი რომ უკანასკნელი მარტო უძლვება უმთავრეს შრომასა და სისწორეს, იმ დაუღალავი ენერგიით, რომლითაც ჩვენ იგი გვგონია დაჯილდოებული.

მეურნეობაში, ამ სიტყვის კერძო აზრით, მანქანა არ ასრულებს არაოდეს იმ როლს, რომელიც ჩვენ ახლა მივაწერეთ სხვადასხვა სამრეწველო წარმოებას,—ოპერაციათა ბუნების სამუშაო პირობებიც არ არიან ნაკლებათ განსხვავებული; სამეურნეო მრეწველობაში, კაცი არ გადაქმნის თვით, როგორც მრთველი, მქსოველი ან და მეტალურგი,—მანქანა აქ უკვე აღარ არის იარაღი უბრალო დანიშნულებისა, რომლის მოქმედებასაც ადამიანი თავის გემოვნებაზე მოიხმარს. მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ სულ სხვას:—ეს მცენარეა თვით მანქანა თავის მალული მექანიზმით, რადგან მისი იდუმალი ცხოვრება ექვემდებარება ჩვენთვის უხილავ კანონებს, მანქანა არის მიწა, რომლის ქიმიურ შედგენილობასაც ადამიანი დიდხანს არ იცნობდა, არ იცნობდა აგრეთვე პროცესებს, მომხდარს: სეზონების, სითფოს ან და იმ უჩინარ მიკროორგანიზმთა მუდმივ მუშაობის გავლენათა ქვეშე, რომელთაც შეუძლიათ ყონ ნიადაგი უნაყოფო ან ნაყოფიერი.

ვიმეორებთ, რომ ადამიანის მოქმედება არ არის პირდაპირი. აქ მის აღმოჩენას, თუ რა კანონებს ან პირობებს მისდევს გასავითარებელი მცენარე, ედგმება გადუვლელი საზღვარი. მან უნდა მოკიდოს ხელი მეცნიერებას, მცენარის ფიზიოლოგიას, — შემდეგ საფუძვლიანათ შეისწავლოს სხვადასხვა ცვლილება, რომელშიც იმყოფება თვალ ასახილავი მცენარე, ესე იგი ნიადაგი.

მეორეგან მეურნე იძევს, თუ როგორ ვითარდება შინაური ცხოველი, რა საშვალებით შეიძლება მათი ცოტა თუ მეტის ეკონომიით გამოკვება, რომელიც აქცევს რძეთ, შალათ, ხორცათ ან ძალათ ნიადაგიდან მოწოდებულ საზდოს.

და როდესაც ადამიანს აქვს ყველა ეს ცოდნა, მას შეუძლია, მიუხვდეს კანონებს მრავალ მოულოდნელ გარემოებისას, რომელთა მოვლენის წინააღმდეგაც საბრძოლ იარაღს იგი დიდხანს არ იცნობდა და დარჩეს ამ გაუმჯობესებულ პირობებში, რადგან მან კარგათ იცის, რომ დანარჩენები, როგორც მაგალითად, —ქარ-წვიმა და სითფო ჩვენს ნებათა გარეშეა.

შეიძლება იკითხოთ—რა არის მიზეზი, რომ სამეურნეო ტეხნიკა და მრეწველება შედარებით ნელის ნაბიჯით მიიწევს წინ? ადვილათ შეგვიძლია ამისი მიხვედრა, თუ რომ მხედველობაში ვიქონიებთ მრავალს დაბრკოლებას, გაურკვევლობას და იმ მოვლენათა იდუმალობის უხილაობას, რაც ჩვენს თვალ წინ ხდება, მაგრამ ვერც კი მიგვიწევია მრავალი საკუნისთვის ძებნითა და შინჯვით.

სხვადასხვა მექანიკური იარაღი, ან მანქანა, სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, ასრულებს მეურნეობაში მეორე ხარისხის როლს.

წინააღმდეგ იმისა, რაცა ვსთქვით სხვადასხვა მრეწველობაზე, კიდევ ვიმეორებთ, რომ უმთავრესი ოპერაციათა შესრულება მეურნეობაში ეკუთნის არა იარაღს, არამედ მის მართველს, ან და მოძრაობაში მომყვანს, რომელიც სარგებლობს პირველათ სახნავში, სათიბში, სამკალში, ან და სხვადასხვა უკვე მიღებული ნაყოფის გადამუშავებაში. მაგ. სახვნელი სთხრის მიწას, გულს უბრუნებს და ამით ხელს უწყობს ატმოსფერის „მოქმედთა“ გავლენას.

მექანიკური სალეწი მანქანა გააშორებს ღერს და თაველს, რომ შემდეგ უკანასკნელიდან ხორბალი უფრო ადვილათ მივიღოთ. მართალია, მრავალი ამდაგვარი სამეურნეო მანქანა ადამიანის ხელს ცოტათი თუ ბევრათ პარალელ ყოფს, მაგრამ რაც უძვირფასესი არ უნდა იყოს იგი ჩვენთვის, მას მაინც არ შეუძლია იქონიოს იგივე მნიშვნელობა, რითაც სარგებლობენ მაგალითად მრეწველობაში სხვადასხვა მანქანა, რომელიც რთავს, ქსოვს ან და წარმოშობს ძალას.

მაშ აქიდან ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ მექანიკურ იარაღთა და მანქანათა როლი, მრეწველობასა და მეურნეობაში ერთმანეთისგან განსხვავდება.

ის პირობები, რომელშიც სწარმოებს მექანიკური მუშაობა კიდევ არა ნაკლებათ განირჩევა. თუ რომ ცნობილი მანქანები, როგორც მაგალითად საქსოვი, სართავი ან და სხვადასხვა დანიშნულებისთვის ძალის წარმომშობელი მოძრავი, შეგვიძლია ვამუშაოთ მთელი წლის განმავლობაში, იგივე არ ითქმის იმ მანქანებზე, რომელიც იხმარება ფერმასა და ფერმის გარეშე.

სამეურნეო ოპერაციები არაა რეგულიარი და დასაზღვრული: მაგ., სახვნელი რჩება უსაქმოთ სახნავ პერიოდის გარეშე, საქაჩველი გვესაჭიროება მარტო ლვინობისთვეში.

რომელიმე იარაღმა ან სამრეწველო მანქანამ რომ მოგვცეს ნება მნიშვნელოვანი ეკონომიის განხორციელებისა, საჭიროა, ეს მანქანა კისრულობდეს საქმეს უმთავრეს გადაქმნა—გადამუშავებისას, ასრულებდეს უმძიმეს შრომას, სადაც ადამიანის მარჯვენი მას ადგილს დაუთმობდა, ან განზრახ ან და თავის ნაკლულოვანებათა გამო; თუმცა პირველი მეორესთან შორს არის მრავალმოქმედებით; მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ სისწორეს, ან საგნის ან და თვითმოქმედების, სადაც ადამიანის თვალი ხშირათ ვერც ჩასწვდება ხოლმე. — თუ ეს ითქმის რომელიმე სამრეწველო მანქანაზე, ჩვენ ვხედავთ სულ სხვას იმ სამეურნეო იარაღთა დანიშნულებაში, რომელიც იხმარება ფერმის გარეთ, და მრავალ მეორეხარისხოვან ოპერაციებში, სადაც ხარჯი ცოტა გადის და ენერგიაც შედარებით ნაკლები უნდება.

ვახსენეთ, მეორე ხარისხოვანი ოპერაციებში-თქო ე. ი. მნიშვნელობა უკანასკნელთა მაინც დიდია, მაგრამ ობიექტზე მათის მოქმედებისა კიდევ სხვასაც აქვს გავლენა, რის მოვლენაც ჩვენი ნების გარეშეა და ჩვენ კი შეგვიძლია სარგებლობა მარტო მათი შედეგებით.

— სხვადასხვა კულტურა, ნიადაგის ბუნება, მათი რელიეფი და დაფენილობა, თანამშრომლობა ყოველთვის აუცილებელი როგორც კაცის, ისე მასულდგმულებელი მოძრავისა, საჭიროა, რომ შეავსონ მოქმედება მექანიკური ხერხიანობისა და თვით ნაკლულევანება მცენარეთა ბუნებისა.

სრული სიმართლით შეგვიძლია ჩვენ გავიმეოროთ იგივე შინაურ ცხოველზეც: ნამდვილი მანქანა, ერთადერთი იარაღი უსაშვალო გადაქმნისა, არის თვით ცხოველი. მისი გაძღოლა, სრულებით მოთვინიერება არ წარმოადგენს რომელიმე მექანიკური იარაღის მართვაზე ნაკლებ შრომასა და ცოდნას: ადამიანი აქ უნდა ჩაუხვდეს კანონებს ცხოველის ბუნებისას, ეს თვით ცხოველია, ვისაც უნდა ემორჩილებოდეს პირველათ ადამიანი, რომ შემდეგ შესძლოს მისი სასარგებლოთ მოხმარება.

ზოგიერთი მომშენებლის გენიოსობამ, როგორც მაგალითად ინგლისელი კოლინგია, შემქნელი რქა-მოკლე გაუმჯობესებული ჯიშისა, ინგლისის მეურნეობას მოუტანა მეტი სარგებლობა, ვიდრე რომელიმე საფშვნელი ან საჩეხი მანქანის გამომგონმა.

არცერთს მექანიკურ იარაღს არ წარუმატნია ნიადაგის ნაყოფიერებისთვის ისე, როგორც აღმოჩენამ, ქიმიური ნოყიერების გავლენისა მცენარის განვითარების გაუმჯობესებაზე.

ამით არ გეგონოსთ, გვსურდეს უარყოფა სამრეწველო მანქანათა სინამდვილისა, რომ სხვადასხვა მექანიკურ ხერხიანობას არა მოეტანოს ვითომ სარგებლობა მეურნეობისთვის, სრულიადაც არა!

სამეურნეო მექანიკის პროგრესით, მიდვრის მუშაობა ერთსა და იმავე დროს გაადვილდა და განამდვილდა, რადგან თანამედროვე მეურნეობის პროგრესმა დაუპირდაპირა კულტურას უზარმაზარი ფერმები ახალი ქვეყნისა, სადაც წარმოშობა იქნებოდა მეტათ აუტანელი, რომ იგივე სადენი, სარჩევი საფშვენი და სხვა მრავალი არ დახმარებოდა ადამიანის მარჯვენს ამ სივრცით მცირესა და ძვირს ქვეყანაში.

ცოტათ თუ ბევრათ, ეგევე ხასიათი აქვს სამეურნეო ტეხნიკის გაუმჯობესებას სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ მისმა სისწრაფით განვითარებამ, სხვადასხვა მატერიკზე სულ სხვადასხვა ხასიათი მიიღო: თუ მჭიდროთ დასახლებულ ევროპაში, სამრეწველო სამეურნეო მანქანა, მარტო ცალმხრივი გაუმჯობესებით გამოწვეულა, ამერიკაში იგი ყოვლათ აუცილებლობას შეადგენდა, უამისოთ ამერიკელს უნდა გადაეყარა მეტი ნაწილი სხვადასხვა ნაყოფისა, რადგან მის გადამუშავებას იგი ვერ შესძლებდა ვერც მეორე მოსვლამდი.

ვიმეორებთ: ჩვენ დიდათ მოვალე ვართ სამეურნეო ტეხნიკის პროგრესის წინაშე და ბევრსაც მოველით მომავალში, მაგრამ ამავე დროს არა ნაკლებ გვევალება წარმატება ჩვენი მოსავლისა, ყოვლად გაუმჯობესება შინაური ცხოველისა, დაკვირვება მეცნიერ აგრონომთა და ბოტანისტთა, ქიმიკოსთა აღმოჩენები და ნაყოფიერი შრომა ზოოტექნიკთა. მეურნე ნაკლებათ ბედნიერი, ვიდრე მრეწველი, ვალდებულია გაუწიოს ანგარიში სამს წარმომშობელ მოქმედთ, სამს ცოცხალ მანქანას: მიწას, მცენარესა და ცხოველს, მეტოდთა შესწავლას, რომლის დახმარებითაც შესაძლო გახადოს გაუმჯობესება ზემოხსენებულ მოქმედთა ცხოვრებისა, რაც შეადგენს თავისი მხრით წარმატებას მეურნეობის ისტორიის პროგრესისას.

პარიზი. ნიკო ჯანაშია.

რედაქ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია,
1860 წ. დაარს.
„დუხი“ და ვარდის ოდეკოლონი
ორიგან
იდილის
ციკლამენ
პირველი ვარდი
ორიგინალიური, საუცხოო და ხანგრძლივი
იყიდება ამიერკავკასიის ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიაში.
ოქროს მედალი პარიზი 1900 წ.

გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
ა. თაბაგრის მაღაზიაში.
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

მევენახეთა საყურადღებოთ!
1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.
ამერიკული ვაზის სანერგე „კლდ ყლურული“ ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მკალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მ. გოკიელის სახლში ვ. ტიეგო.